

კოლეჯი შპს ცხუმ-ვერისი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ელექტრონული ბუღალტერია
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 2 <input type="checkbox"/> 3 <input checked="" type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16 სთ
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური :10 მაქსიმალური: 15
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობას და მარტივი ბუღალტრული ოპერაციების განხორციელებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში პირველადი დოკუმენტების მონაცემების შეტანა
2. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების რედაქტირება და მონაცემების შენახვა
3. ფორმულებისა და ფუნქციების გამოყენება
4. ცხრილებში მუშაობა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ ელექტრონული ბუღალტერია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 144 საათს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს ცხუმ-ვეგრისის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან კოლეჯის AB სასწავლო გარემოში - კომპიუტერულ ლაბორატორიაში.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

შპს ცხუმ-ვეგრისის დირექტორის მიერ 2019 წლის 2 მაისის N 01-16 ბრძანებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.